საქართველო

ონის მუნიციპალიტეტის

გამგეობა

GEORGIA

GOVERNMENT OF ONI

MUNICIPALITY

№ 04 - 697 16 06 2015 წელი

იუსტიციის სახლის აღმასრულებელ
დირექტორს ბატონ **გიორგი ტაბიძეს**

ბატონო გიორგი,

თქვენი მიმდინარე წლის 11.06. N1455 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება სამშენებლო ნებართვის გაცემას ქ. ონში ვახტანგ მე-6 ქ N 10-ში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1698 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს სსიპ-იუსტიციის სახლს) იუსტიციის სახლის ონის ფილიალის მშენებლობისათვის გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე (იუსტიციის სახლის ონის ფილიალის საპროექტო დოკუმენტაცია, ექსპერტიზის დასკვნები, მიწის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) შესაძლებელია გაიცეს საშშენებლო ნებართვა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების შესაბამისად. ამასთან კომპანია ვალდებულია ამავე დადგენილების 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ"ქვეპუნქტის შესაბამისად ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იუსტიციის სახლის ონის ფილიალის მშენებლობის ნებართვისა და მემდგომ ექსპლუატაციაში მისაღებად გადაიხადოს მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 22 თებერვლის N 6 დადგენილების საფუძველზე მოსაკრებლის ოდენობა ქ.ონში ვახტანგ მე-6 ქ. N 10-ში იუსტიციის სახლის ონის ფილიალის მშენებლობისათვის შეადგენს (შესაბამისად განაშენიანების ფართობისა 667მ² 667 (667X1) ლარს.

ამასთან, ობიექტი უნდა განთავსდეს სახელმწიფო გზის სიახლოვეს (დაახ. 20 მ. ღერძულა ხაზიდან) გთხოვთ, დამატებით წარმოადგინოთ საგზაო დეპარტამენტიდან შესაბამისი შეთანხმების დოკუმენტი.

მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
სახელმწიფო ხაზინა
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 300323090
ბანკის კოდი LBRTGE22

პატივისცემით,

გიორგი ლობჯანიძე
ონის მუნიციპალიტეტის გამგებელი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
სსიპ იუსტიციის სახლი
16 06 2015 წ.
№ 7292

შემსრულებელი: თეიმურაზ გრძელიშვილი
მუნიციპალიტეტის არქიტექტურის ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი

საქართველო ქ. ონი, დავით აღმაშენებლის მოედანი №1.ტ: 551 550 403
№1 Davit Agmashenebeli squ Oni, Georgia; T.: 551 550 403

კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო სახე)

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №06

2011 წლის 22 თებერვალი

ქ. ონი

ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ძ" ქვეპუნქტის, ,,ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. შემოღებულ იქნეს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემდეგი სახის ადგილობრივი მოსაკრებლები:

1. მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის;

2. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის.

მუხლი 2. დადგინდეს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემდეგი განაკვეთები:

1. მოსაკრებლის ოდენობა მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის განისაზღვროს ახალ- ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის ერთი ლარის ოდენობით, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის – 3 ლარის ოდენობით.

2. მოსაკრებლის ოდენობა დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ქ. ონში ერთ სულ მოსახლეზე 0.5 ლარის ოდენობით თვეში;

ბ) მეწარმე ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომელთა დაკავებული ფართობი არ აღემატება 20კვ.მ. მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს 5 ლარით, ხოლო 20 კვ.მ-ს ზემოთ –ყოველ დაკავებულ კვ.მ-ზე 0.1 ლარის ოდენობით;

გ) ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს დასაქმებული პერსონალის გათვალისწინებით, ყოველ დასაქმებულ მუშაკზე 0.5 ლარის ოდენობით;

დ) მოსაკრებლის ოდენობა ბაზრობის ტიპის ობიექტებისათვის განისაზღვროს 1 $მ^3$ ნარჩენზე 0.85 ლარის ოდენობით.

3. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის გადახდილი უნდა იქნეს ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვისათვის, ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმა განისაზღვროს ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის გადასახდელი თანხის 5%-ის ოდენობით.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 1 აპრილის დადგენილება №19- ვებგვერდი, 06.04.2011წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 3 ივნისის დადგენილება №28 - ვებგვერდი, 10.06.2011წ.

მუხლი 3. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 25 აპრილის №25 დადგენილება.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საკრებულოს თავმჯდომარე